# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N3/კ-კ

ქ. მესტია

30 სექტემბერი 2014 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს N1404 განკარგულების საფუძველზე, ერთის მხრივ მესტიის მუნიციპალიტეტი (შემდგომში" შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის "ხუსან აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, N1351 კონკურსში გამარჯვებული შპს „ნიკა-2008", წარმოდგენილი მისი დირექტორის "ხუსან მაჩხანელის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") კონკურსის საბჭოებით დადგენილ წინადადების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში –"ხელშეკრულება") შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. მხალდიდში ნაფატურები-მხალდიდის გზის გვერდულზე სანიაღვრე არხის მოწყობის,სოფ. მხალდიდში სულხანის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის,სოფ. მხალდიდში სანიაღვრე არხის მოწყობის და სოფ. ზემო ლახამულა სანიაღვრე მილის და ხიდის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. (CPV71200000)

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2260 (ორიათასორასსამოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტში კონკურსის ჩატარების საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისია.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. მესტია, აბესაძის ქ.#7.

5.2 დასრულებული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს 2014 წლის 6 ოქტომბრის.

### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველისაგან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

### 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შესყიდვის მონიტორინგში კონკურსის შედეგით საშტატო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისია.

7.3 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

### 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

### 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულიშემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულშემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების **შეწყვეტის** შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია **9.4** პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ **5** კალენდარული დღით ადრე წერილობითი ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტა მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მესტიის მუნიციპალიტეტი
ქ. მესტია, ანჯაფარიძის ქ. #7
ს/კ 236098824

სს „ლიბერთი ბანკის" მესტიის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა GE11LB0120118541380000

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზურაბ ანსიანი

მიმწოდებელი

შპს „მიკა-2008"
მის: ქ. მესტია, გაბლიანის ქ. 13
ს/კოდი: 2360970[illegible]

სს „ლიბერთი ბანკის" მესტიის ფილიალი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა GE94LB0113181447299000

დირექტორი

ზურაბ მარღიანი
599 185425